



შეთანხმებულია

**თავდაცვის პოლკოვნიკი გრიგოლ გიორგაძე**

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ქ. თბილისი

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვაკანტურ თანამდებობებზე ჩასატარებელი დახურული კონკურსის პროგრამის, პირობებისა და ეტაპების დამტკიცების შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროფესიულ საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-5 და მე-19 მუხლების შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვაკანტურ თანამდებობებზე ჩასატარებელი დახურული კონკურსის პროგრამის პირობები და ეტაპები“.
2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

**მუხლი 1. კონკურსის პირობები**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვაკანტურ თანამდებობაზე ჩასატარებელ დახურულ კონკურსში (შემდგომში - კონკურსი) მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს კანდიდატი, რომელიც საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) (შემდგომში - ვებ-გვერდი [www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) გააკეთებს განაცხადს.

2. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის № 204 დადგენილების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დახურულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მოქმედ პროფესიულ საჯარო მოხელეს, მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულ პირსა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს, თუ იგი არანაკლებ 1 წელია მუშაობს საჯარო სამსახურის სისტემაში და აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ძირითად მოთხოვნებს.

3. ვებ-გვერდზე ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) „ჩემი რეზიუმეს“ – შესაბამის ველში - კანდიდატმა აუცილებლად უნდა ატვირთოს:

ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი (უცხოენოვანი დიპლომის არსებობის შემთხვევაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული აღიარების დოკუმენტი).

ბ) შრომის წიგნაკის ან შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები ორგანიზაცია, თანამდებობა, დანიშვნისა და გათავისუფლების თარიღების მითითებით (უცხოენოვანი ცნობის შემთხვევაში ქართულ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული).

გ) დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება რომ კანდიდატი არის მოქმედი პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსის მქონე პირი, რეზერვში ჩარიცხული საჯარო მოხელე ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელიც არანაკლებ 1 წელი მუშაობს

საჯარო სამსახურის სისტემაში.

4. ვებ-გვერდზე ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) ველში - „ჩემი რეზიუმე“ – „რეკომენდატორები“ - კანდიდატმა აუცილებლად უნდა მიუთითოს არანაკლებ **2 (ორი) რეკომენდატორი**.

## **მუხლი 2. ვაკანტური თანამდებობა**

ვაკანტურ თანამდებობად განისაზღვროს:

1. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ორმხრივი ურთიერთობების სამმართველოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
2. ადმინისტრაციის ნატოს კლასიფიცირებული უსაფრთხოების სამსახურის უფროსი;

## **მუხლი 3. კონკურსის პროგრამა**

საკონკურსო პროგრამის თემატიკად განისაზღვრება:

1. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 ოქტომბრის №92 ბრძანება "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ".
2. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 ოქტომბრის №91 ბრძანება "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ".

## **მუხლი 4. კონკურსის ეტაპები**

1. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:
  - ა) პირველი ეტაპი - განცხადებების გადარჩევა;
  - ბ) მეორე ეტაპი - გასაუბრება.
2. კონკურსის მეორე ეტაპზე აპლიკანტი გადავა განცხადებების გადარჩევის ეტაპზე კონკურსის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.
3. ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი ითვლება გავლილად კანდიდატის მიერ კონკურსის ყველა ეტაპის გავლის შემთხვევაში.
4. კანდიდატი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება შესაბამისი ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს (მათ შორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს) ან სრულყოფილად არ წარმოადგენს წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას, არ მიუთითებს ორ რეკომენდატორს ან/და არ ექნება სამოტივაციო წერილი (ქართულ ენაზე) წარმოდგენილი ვერ გადავა კონკურსის შემდგომ ეტაპზე.
5. კანდიდატს, რომელიც ვერ გადავა კონკურსის პირველ ან მეორე ეტაპზე, ამის შესახებ ეცნობება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მიერ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
6. გასაუბრების დღეს ყველა კანდიდატი უნდა გამოცხადდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში (მისამართი - ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის №20) კომისიის მიერ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. კანდიდატმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოცხადებული კანდიდატი გასაუბრებაზე არ დაიშვება.
7. კანდიდატის გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან დაგვიანებით გამოცხადება წარმოადგენს კანდიდატის გასაუბრებაზე დაუშვებლობის საფუძველს, მიუხედავად იმისა, გამოუცხადებლობა ან დაგვიანება საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული თუ არა.
8. ვაკანტური თანამდებობისათვის გასაუბრებას ატარებს საქართველოს თავდაცვის

სამინისტროს პროფესიულ საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისია.

9. კანდიდატი ფასდება პროფესიული ცოდნის, განათლების, მოტივაციისა და ეფექტური კომუნიკაციის კომპეტენციებით.

10. გასაუბრება მიმდინარეობს ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით.

11. გასაუბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ კანდიდატები და უფლებამოსილი პირები.

12. კომისიის გადაწყვეტილების გამოტანიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ყველა კანდიდატს ეცნობება მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

#### **მუხლი 5. საპრეტენზიო კომისიისათვის მიმართვა**

კანდიდატს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ წერილობითი ფორმით, კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში (მისამართი - თბილისი, გენერალ გ.კვინიტაძის №20).

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო / ადამიანური  
რესურსების დეპარტამენტი  
დეპარტამენტის უფროსი  
ზაზა ჩოხელი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო / ადამიანური  
რესურსების დეპარტამენტი  
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე  
მანანა ჯაბადარი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო/იურიდიული  
დეპარტამენტი  
დეპარტამენტის უფროსი  
გიორგი ციცაგი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო / ადამიანური  
რესურსების დეპარტამენტი / პროფესიულ საჯარო  
მოხელეთა მართვის სამმართველო / პროფესიულ  
საჯარო მოხელეთა კარიერის მართვის განყოფილება  
მთავარი სპეციალისტი  
ნანა ჩოჩია